ნინა მუსტაფაევა

**დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა**
**კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა**
**ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოლონეთი**

უცხოეთში სწავლა ყოველთვის ჩემი მიზანი იყო და როდესაც Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა მომეცა მივხვდი, რომ ვერ გავუშვებდი ამ შანსს ხელიდან. შედეგად, 2025 წლის გაზაფხულის სემესტრი ვსწავლობდი ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტში, პოლონეთში.

Erasmus+ პროგრამამ მომცა უნიკალური შესაძლებლობა გავმხდარიყავი ახალი გარემოს ნაწილი, გამოვსულიყავი ჩემი კომფორტის ზონიდან, განვვითარებულიყავი, როგორც პიროვნულად, ასევე პროფესიულად და გამომემუშავებინა ისეთი უნარები, რომლებიც ჩემს მომავალ კარიერაში აუცილებლად დამეხმარება.

ახალმა აკადემიურმა გარემომ კი, საშუალება მომცა გამეცნო სხვადასხვა ქვეყნისა და დარგის პროფესიონალი და მქონოდა შესაძლებლობა, გამეცვალა იდეები და შეხედულებები კოლეგებთან მთელი მსოფლიოდან.

მე ყოველთვის მიზიდავდა ჩვენი სამყაროს მრავალფეროვნების უკეთ გაგების იდეა და Erasmus+ პროგრამის წყალობით, შევძელი პირადად გამომეცადა და გამეცნო სხვადასხვა კულტურა.

ამ გამოცდილებამ საშუალება მომცა არა მხოლოდ მეტი გამეგო სხვა ქვეყნების შესახებ, არამედ გამეზიარებინა საკუთარი კულტურის სიმდიდრე და სიუხვე. სწავლის პერიოდში რამდენიმე ღია გაკვეთილი ჩავატარე ადგილობრივ სკოლაშიც, სადაც საქართველოზე ვსაუბრობდი. ასევე სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი იმით, თუ რამდენად მოეწონათ ჩემს მეგობრებს ქართული სამზარეულო — ჩვენ არაერთხელ ვესტუმრეთ ადგილობრივ ქართულ რესტორნებს!

ეს არის გამოცდილება, რომელსაც ყოველთვის ღიმილით სახეზე, სითბოთი გულში და უსასრულო მადლიერების გრძნობით გავიხსენებ. Erasmus+ პროგრამა საოცარ შესაძლებლობას გვთავაზობს, რომელიც ცვლის ცხოვრებას და ყოველთვის ყველას მოვუწოდებ, რომ ისარგებლონ ამ შანსით.